სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“

#14 საერთო კრების მოწვევის შესახებ

გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის.: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) საერთო კრების 2022 წლის 29 აპრილის #8/2022 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის “ა” და “თ” ქვეპუნქტის, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის (კანონი) 184-ე მუხლის პირველი პუნქტის “ბ” და “თ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

გადაწყდა:

1. მოწვეულ იქნეს საზოგადოების მორიგი საერთო კრება **2024 წლის 9 იანვარს 12:00 სთ-ზე,** მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0102, კ.ხეთაგუროვის ქ. #36;
    1. საერთო კრების დღის წესრიგით განისაზღვროს შემდეგნაირად:
    2. *სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ცვლილება;*
2. *სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილება;*
3. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს 2024 წლის 8 იანვარი დეკემბერი, გასათვალისწინებელია, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
4. საერთო კრება ჩატარდება პირისპირ ან/და ონლაინ (თუ დაემთხვა გადაუდებელი აუცილებლობის მქონე მივლინება ან სხვა გარემოება) ფორმატში, კენჭისყრა ხორციელდება ღია ხმის მიცემის მეშვეობით, საერთო კრების ოქმში აისახება კენჭისყრის შედეგები;
5. საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს ეცნობება პირადად, ასევე ელექტრონულ მისამართებზე გაეგზავნებათ კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო მასალები, კერძოდ, სადამფუძნებლო შეთანხმების პროექტი.
6. კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს პორტალზე დაუყოვნებლივ.

Irakli Galdava

Digitally signed by Irakli Galdava
Date: 2024.01.08 16:11:54 +04'00'

ირაკლი გალდავა
გენერალური დირექტორი (მ.შ.)

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა “ (სენბი)
წლიური საერთო კრების ოქმი #14/2024 -სთვის

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტი

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის.: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კ.ხეთაგუროვის ქ., N36) საერთო კრების 2022 წლის 29 აპრილის #8/2022 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის პირველი პუნქტის “ა” და “თ” ქვეპუნქტის, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის (კანონი) 184-ე მუხლის პირველი პუნქტის “ბ” და “თ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

გენერალური დირექტორი (მ.შ.) საერთო კრებას წარუდგენს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტს, შესაბამისი საფუძვლების მითითებით, გამომდინარე კანონის 190-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნიდან.

დღის წესრიგი:

1. *სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ცვლილება;*
2. *სადამფუძნებელო შეთანხმების ცვლილება.*

შესაძლო გადაწყვეტის დასაბუთება

წესდებისა (მე-14 მუხლის 1 პუნქტის “თ” ქვეპუნქტი) და კანონის (184-ე მუხლის 1 პუნქტის “თ” ქვეპუნქტი) მოთხოვნათა გათვალისწინებით, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს საერთო კრება, გარდა ამისა, კანონის მე-5 მუხლის მეორე პუნქტის “დ” ქვეპუნქტის მიხედვით, სადამფუძნებლო შეთანხმება უნდა მოიცავდეს: აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრის საიდენტიფიკაციო მონაცემებს და უფლებამოსილების ვადას.